

საიდ. №65914/03

IR 1102735

გ ა დ ა წ ე ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №30-03/13

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქართველოს ინტელექტუალური სამეცნიერო კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით:
ი. გიქორაშვილი (თაგმჯდომარე), დ. ჭიჭინაძე, ს. დუმბაძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „სოსიეტე დე პროდუქტებ ნესტლე ს.ა.”-ს (Société des Produits Nestlé S.A.) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №30-03/13), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქართველოს ინტელექტუალური სამეცნიერო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 28 ნოემბრის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №2367/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „NOURISHING PERSONAL HEALTH” (საიდ. №65914/03 IR 1102735) დაცვის მინიჭება საქართველოში საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-5, მე-10, 41-ე, 42-ე და 44-ე კლასები).

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქართველოს სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 28 ნოემბრის №2367/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი „NOURISHING PERSONAL HEALTH” აღწერილობითია და არაგანმასხვავებელუნარიანია განცხადებული საქონლისა და მომსახურების მიმართ, ვინაიდან ის შედგება მხოლოდ სიტყვიერი ჩანაწერისაგან „NOURISHING PERSONAL HEALTH”, რაც ქართულად ნიშნავს პირადი ჯანმრთელობის გამოკვებას, შესაბამისად განცხადებულ სასაქონლო ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ” და „დ” ქვეპუნქტების საფუძველზე უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე.

აპელანტი კომპანია „სოსიეტე დე პროდუქტი ნესტლე ს.ა.” არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, ექსპერტმა თავის დასკვნაში არგუმენტად მოიყვანა ის, რომ „სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი „NOURISHING PERSONAL HEALTH” არაგანმასხვავებელუნარიანია („სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტი), ვინაიდან იგი შედგება მხოლოდ სიტყვიერი ჩანაწერისაგან „NOURISHING PERSONAL HEALTH”, ე.ო. ექსპერტის დასკვნიდან გამომდინარეობს, რომ განცხადებელს განცხადებული ნიშანი, რომ მოეთავსებინა მაგალითად წრეში ან ჩარჩოში ჩაითვლებოდა განმასხვავებელუნარიანად. მაშინ რა შეიძლება ვუწოდოთ იმ ფაქტს, რომ სასაქონლო ნიშნების უმრავლესობა, მათ შორის მოწოდები, დევიზები (slogan), რაც დღეისობით აქტიურია, სიტყვიერი ჩანაწერებია. გამოდის, რომ ისინიც არაგანმასხვავებელუნარიანია და უარი უნდა ეთქვას რეგისტრაციაზე მაგალითად: „WORKING FOR A HEALTHIER WORLD” (რეგ. №17655; რეგ. თარ. 12.07.2007); მფლობელი: PFIZER INC.) კლასები: 5,9,16,44; „ჯანმრთელობა - განბი, რომელსაც ჩვენ გიზიარებთ! Здоровье - сокровище, которым мы делимся с вами! HEALTH IS A TREASURE WE SHARE!” (რეგ. №19549; რეგ. თარ. 13.07.2009); მფლობელი: უორლდ მედისინ ლიმიტიდ) კლასები: 5,35.; „Together for healthy future ვместе к здоровому будущему ერთად ჯანმრთელი მომავლისათვის” (რეგ. №20980;

რეგ. თარ. 13.07.2009წ; მფლობელი: შპს „სააფთიაქო სახლი“) კლასები: 5,16,35.; „Health Life“ (რეგ. №17102; რეგ. თარ. 15.11.2006წ; მფლობელი: Sagmel, Inc.) კლასი: 5.; „დააგემოვნე მომავალი“ (რეგ. №22327; რეგ. თარ. 24.02.2012წ; მფლობელი: სს „საქართველოს ბანკი“) კლასი: 9,16,35,36.; „ჯანმრთელი სიცოცხლე Здоровая Жизнь Healthy Life“ (რეგ. №16008; რეგ. თარ. 13.06.2005წ; შპს: „ავერსი-ფარმა“) კლასი: 10,16,38,44. და სხვა. აპელანტის პოზიციით, როგორც ცნობილია სასაქონლო ნიშნის მიზანია განასხვავოს ერთი საწარმოს საქონელი მეორე საწარმოს საქონლისაგან. ნიშნის განმასხვავებლივის განსაზღვრა კი დამოკიდებულია მომხმარებელზე ან იმ პირთა გათვითცნობიერებაზე, ვისთვისაც არის გამიზნული. ასევე, ცნობილია, რომ „ნიშანი განმასხვავებელუნარიანია პროდუქციის მიხედვით, რომელზეც ის გამოიყენება ან უნდა იქნეს გამოყენებული იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აღნიშვნა ცნობილ იქნა, ან შეიძლება იქნეს ასეთად ცნობილი იმ მომხმარებლის მიერ, რომლის მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის არის განკუთვნილი აღნიშნული ნაწარმი“ და ვისთვისაც იგი აღიარებულია კონკრეტულ კომერციულ წყაროზე მიმანიშნებელ აღნიშვნად. აპელანტის პოზიციით, ზოგადად მეწარმეები ცდილობენ, რომ შექმნან მაღალგანმასხვავებელუნარიანი სასაქონლო ნიშანი, რაზეც მუშაობენ პროფესიონალთა ჯგუფები. სულაც არაა საჭირო, რომ ნიშანი რაიმე კონკრეტული იდეის მატარებელი იყოს, ან გრამატიკულად გამართული სიტყვა ან წინადადება, იგი შეიძლება იყოს მოგონილი ან ფანტაზიური სიტყვა ან სიტყვათა ჯგუფი, რომელიც მომხმარებელს გაუჩენს ფიქრს, წარმოსახვას, ასოციაციას საქონლის მიმართ, რასაც ადგილი აქვს მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში. აპელანტის მითითებით, კომპანია „სოსიეტე დე პროდუქ ნესტლე ს.ა.“ უდაოდ ცნობილი კომპანიაა მსოფლიოში, მათ შორის საქართველოში და ჰყავს როგორც საშუალო მომხმარებელი, ასევე მომხმარებელი, რომლისთვისაც არის განკუთვნილი მისი პროდუქცია როგორიცაა მაგალითად, ფეხმძიმეები და მეძუძური დედები, სამედიცინო პერსონალი, რომელთათვისაც აპელანტის ნიშანი განმასხვავებელუნარიანი იქნება ნამდვილად თუნდაც იმიტომ, რომ მომხმარებელი ჩათვლის, რომ ამ ტერმინით მონიშნული საქონელი ან მომსახურება წარმოშობილია კონკრეტული კომერციული წყაროდან და მისთვის ეს განმასხვავებლივის მაჩვენებელია სხვა მეწარმის პროდუქციასთან შედარებით.

აპელანტის განმარტებით, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სიმბოლო ესაა სამი სიტყვის გაერთიანება, შესრულებული მთავრული ასოებით, რაც გამოარჩევს მას სხვა აღნიშვნებიდან. „NOURISHING PERSONAL HEALTH” ქართულად სავარაუდოდ შეიძლება ითარგმნოს ისე, როგორც ექსპერტს აქვს აღნიშნული - „პირადი ჯანმრთელობის გამოკვება”, მაგალითად „ასაზრდოები პირადი ჯანმრთელობა”, რაც რა თქმა უნდა არ ნიშნავს ჯანმრთელობის კვებას, აღნიშნული გამოთქმა არ შეიძლება პირდაპირ იქნას დაკავშირებული კვებასთან. იგი წარმოსახვითია, როგორც მაგალითად, სასაქონლო ნიშანი „დააგემოვნე მომავალი” (რეგ. №22327) ან „შეეხე მომავალს” (რეგ. №22328), ან „ჯანმრთელი სიცოცხლე” (რეგ. №16008) და სხვა. იგი შეიძლება ასოცირებულ იქნას მაგალითად, სპორტულ აქტიურობასთან, კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებთან და სხვა. აპელანტის მითითებით, ცალ-ცალკე აღებულ მოცემულ სიტყვებს თავისი მნიშვნელობები გააჩნია და შეიძლება აკლდეთ ამ სახით განმასხვავებლობა, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში იგი განიხილება მთლიანობაში და შესაბამისად აღიქმება როგორც ფანტაზიური, ვინაიდან არსად სხვაგან არ გვხვდება აღნიშნული სიტყვების ამგვარად გამოყენებული კომბინაცია, იგი იშვიათი და უცნაურია. წარმოდგენილი სიმბოლო არის სიმბოლური ხასიათის მოწოდება და არ აკლია განმასხვავებლობა, რასაც ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მაგალითად „Google”-ის საძიებო სისტემაში არ მოიძებნა მესამე პირი, რომელიც ამ სახით იყენებს წარმოდგენილ სიმბოლოს, სამაგიეროდ ძიების შედეგები დაკავშირებულია მხოლოდ კომპანია „სოსიეტე დე პროდუქ ნესტლე ს.ა.”-თან, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს განცხადებული სიმბოლოს განმასხვავებლობაზე. აპელანტის განმარტებით, ექსპერტი დასკვნაში მიუთითებს, რომ წარმოდგენილი სიმბოლო აღწერილობითია განცხადებული საქონლისა და მომსახურების მიმართ („სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე4 მუხლის „დ” ქვეპუნქტი), თუმცა არ ასაბუთებს, თუ რატომ არის წარმოდგენილი სიმბოლო ყველა განცხადებული საქონლისა და მომსახურების მიმართ აღწერილობითი. განცხადებული საქონელი და მომსახურება სხვადასხვა კატეგორიას ეკუთვნის, მაგალითად მე5 და მე10 კლასის განცხადებული საქონელი განსხვავებულია. მე10 კლასის საქონელი (სამედიცინო დანიშნულების დიაგნოსტიკური აპარატურა; ქირურგიული და სამედიცინო დანიშნულების ხელსაწყოები და ინსტრუმენტები,

ზონდები, ტუმბოები ენტერალური კვებისათვის) ნამდვილად არაა განკუთვნილი საყოველდღიურო მოხმარებისათვის/საკვებად, არამედ განკუთვნილია სპეციალიზირებული სამედიცინო პერსონალისათვის. ასევე მაგალითად 41-ე კლასის შემდეგი განცხადებული მომსახურება - წიგნების, პამფლეტების, გაზეთების, ფილმების და ჩანაწერების გამოცემა და რედაქტირება. ამავე კლასის დანარჩენ მომსახურებასთან შედარებით სხვა დანიშნულების მქონეა და არ აქვს კავშირი ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ მომსახურებასთან. 42-ე კლასით წარმოდგენილი მომსახურება ფართოა და განკუთვნილია სპეციალიური მომხმარებლისთვის და შეუძლებელია მისი შედარება მაგალითად 44-ე კლასით მოთხოვნილ მომსახურებასთან. აღნიშნული მომსახურებები არ არის დაკავშირებული კვებასთან. აპელანტის პოზიციით, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სიმბოლო ასოციაციურია და არა აღწერილობითი. აზრობრივი თვალსაზრისით სიტყვების კომბინაციას, მაგალითად „NOURISHING“ და „HELATH“ არ აქვს დატვირთვა მათი პირდაპირი მნიშვნელობით, პირიქით ისინი ბუნდოვანია და მომხმარებლის გონებაში წარმოქმნის ფიქრებს „რას ვკვებავთ?“, „ვინ კვებავს“ ან რა კავშირშია ეს „პირად ჯანმრთელობასთან“ და სხვა. აპელანტის პოზიციით, მოცემული კომბინაცია მომხმარებელს უდვიძებს იმ აზრს, რომ კონკრეტული საქონელი ან პროდუქტი დაკავშირებული უნდა იყოს ვიღაცის ჯანმრთელობასთან და/ან გამოყენებული უნდა იქნას ვიღაცის თუ რაღაცის საკვებად, მაგრამ ვერ იღებს ნათელ და საქებ ინფორმაციას, თუ კონკრეტულად რა არის შეთავაზებული. მაგალითად, სასაქონლო ნიშანი შეიძლება დაკავშირებული იყოს სპორტულ აქტიურობასთან, რაც ხელს უწყობს ჯანმრთელობას. აპელანტის მითითებით, წარმოსახვა სჭირდება იმას, რომ ერთმანეთთან დაკავშირდეს სამედიცინო, კეტერინალური და საკვები საქონელი ან/და ასოცირებული მომსახურება, უფრო მეტიც არ არსებობს აშკარა კავშირი პიგიენურ და დიაგნოსტიკურ პრეპარატების მიმართ (კლასი 5), დიაგნოსტიკურ და სამედიცინო აპარატურის მიმართ (კლასი 10), ბეჭდვით და საგამომცემლო მომსახურებასთან (41 კლასი) და/ან სამეცნიერო კვლევასთან (კლასი 42). აპელანტის პოზიციით, წარმოდგენილი კომბინაცია არ არის აღწერილობითი ხასიათის, ესაა მხოლოდ მესიჯი მომხმარებლისათვის, რომელიც მოთხოვნილი საქონლის ან/და მომსახურების მიმართ მიანიშნებს მომხმარებელს კომერციულ წყაროზე, თავისი

ორიგინალობით და უჩვეულო კომბინაციით. სიმბოლო მომხმარებელში იწვევს კოგნიტურ პროცესს, წარმოსახვას, თუ რა იდეის მატარებელია ნიშანი, განსხვავებულ ასოციაციებს და კითხვებს მის შესაძლო მნიშვნელობაზე და არ შეიცავს რაიმე კონკრეტულ აღწერილობით მახასიათებელს განცხადებული საქონლისა და მომსახურების მიმართ, შესაბამისად იგი ვერ ჩაითვლება აღწერილობით სიმბოლოდ. აპელანტის მითითებით, არსებობს არაერთი დაახლოებული ან მსგავსი ფრაზა თუ ლოზუნგი, თუნდაც ზემოთ აღნიშნულები, რომლებმაც უპრობლემოდ მიიღო რეგისტრაცია საქართველოში. განცხადებული სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია არაერთ ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე ქაფიაში. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 28 ნოემბრის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №2367/03 ბრძანების ბათოლად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „NOURISHING PERSONAL HEALTH” (საიდ. №65914/03 IR 1102735) დაცვის მინიჭებას საქართველოში საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის თანახმად, „სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც არაგანმასხვავებელუნარიანია შესაბამისი საქონლის მიმართ”. ამავე მუხლის პირველი პუნქტის „დ” ქვეპუნქტის თანახმად, „სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც აღწერილობითა იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც მოითხოვება მისი რეგისტრაცია, შედგება საქონლის მხოლოდ სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, თვისების, დირებულების, დანიშნულების, გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილის, დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლებისგან ანდა მიჩნეულია ასეთად.

კოლეგია იზიარებს აპელანტის მიერ წარმოდგენილ პოზიციას და მიაჩნია,

რომ სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი არ წარმოადგენს არაგანმასხვავებელუნარიან ნიშანს საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის მიმართ. სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი „NOURISHING PERSONAL HEALTH” ქართულად ნიშნავს „პირადი ჯანმრთელობის გამოკვებას” ან „პირადი ჯანმრთელობის საზრდოობა”. განცხადებული სასაქონლო ნიშანი „NOURISHING PERSONAL HEALTH” წარმოადგენს განმასხვავებელუნარიან სიმბოლოს განცხადებული საქონლისა და მომსახურების მიმართ, რადგან სიტყვიერი აღნიშვნა „NOURISHING” ქართველი მომხმარებლისათვის არ წარმოადგენს კარგად ცნობილ ინგლისურ სიტყვას, მის მნიშვნელობას შეიძლება ვერც მიხვდეს ქართველი მომხმარებელი. გარდა ამისა განცხადებული სასაქონლო ნიშნით ნიშანდებული პროდუქცია მოიცავს ისეთ საქონელსა და მომსახურებას, რომლისთვისაც არ შეიძლება „NOURISHING PERSONAL HEALTH” სიტყვათა წყობა მივიჩნიოთ არაგანმასხვავებელუნარიანად. გარდა ამისა, კოლეგიას მიაჩნია, რომ აღნიშნული სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს უბრალოდ სლოგანს მომხმარებლისთვის და იგი მოლიანად ფანტაზიურია განცხადებული ნიშნით ნიშანდებული საქონლისა და მომსახურების მიმართ, შესაბამისად იგი ვერ ჩაითვლება აღწერილობით ნიშნად მე-5, მე-10, 41-ე, 42-ე და 44-ე კლასების განცხადებული საქონლისა და მომსახურების ჩამონათვლისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ” და „დ” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს და სასაქონლო ნიშნისათვის „NOURISHING PERSONAL HEALTH” (საიდ. №65914/03 IR 1102735) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველიც არ არსებობს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტოს არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა” ქვეპუნქტით და

ბ ა ლ ა წ ე ბ ი ტ ა:

1. კომპანიის „სოსიეტე დე პროდუქტი ნესტლე ს.ა.”-ს (Société des Produits Nestlé S.A.) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 28 ნოემბრის №2367/03 ბრძანება საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.
3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „NOURISHING PERSONAL HEALTH” (საიდ. №65914/03 IR 1102735) მიენიჭოს დაცვა საქართველოში საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.
4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

ი. გიქორაშვილი

წევრები:

დ. ჭიჭიაძე

ს. დუმბაძე